

# დებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ

დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ეროვნული ბანკის 1997 წლის 8 აგვისტოს N194/45 ბრძანებით 1999 წლის 26 თებერვლის N55/28 ბრძანებით 1999 წლის 12 ივლისის N162/165 ბრძანებით 2000 წლის 22 მარტის N31/84 ბრძანებით 2000 წლის 11 აპრილის N42/110 ბრძანებით 2001 წლის 14 სექტემბრის N207/222 ბრძანებით 2001 წლის 4 დეკემბრის N259/292 ბრძანებით 2003 წლის 10 ოქტომბრის N511/240 ბრძანებით 2003 წლის 21 ოქტომბრის N526/249 ბრძანებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით

## 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ წესებს.

1.2. სახაზინო ვალდებულებების გამოშვება ხდება ეროვნულ ვალუტაში. ისინი გაიყიდება დისკონტით და დაიფარება ნომინალური ღირებულებით. ერთი სახაზინო ვალდებულების ნომინალური ღირებულებაა 100 ლარი. ერთი სახაზინო ვალდებულების საანგარიშსწორებო ფასი დგინდება ფორმულით:

$$\text{საანგარიშსწორებო ფასი} = \frac{\text{ნომინალური ღირებულება}}{1 + \left( \frac{\text{საპროცენტო განაკვეთი}}{100} * \frac{\text{დაფარვამდე დღეების რაოდენობა}}{365} \right)}$$

1.3. სახაზინო ვალდებულებების გამოშვება ხდება არამატერიალიზებული ფორმით, ჩანაწერებით საბუღალტრო დავთარში.

1.4. სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება აუქციონზე. აუქციონზე გასატანი სახაზინო ვალდებულებების რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით. აუქციონზე გაიყიდება ერთ წლამდე დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებები. სახაზინო ვალდებულებების ვადიანობა უნდა იყოს 7 დღის ჯერადი.

1.5. საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის 58-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ეროვნული ბანკისათვის დასაშვებია ფინანსთა სამინისტროდან სახაზინო ვალდებულებების შექმნა შესაბამის აუქციონზე დადგენილი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთით.

1.6. აუქციონზე გატანილი სახაზინო ვალდებულებების 20 პროცენტი დაიჯავშნება არაკონკურენტული განაცხადების დასაკმაყოფილებლად. არაკონკურენტული განაცხადების წარმოუდგენლობის ან მათი სრულად დაკმაყოფილების შემდეგ სახაზინო ვალდებულებების დარჩენილი ოდენობა გამოიყენება კონკურენტული განაცხადების დასაკმაყოფილებლად.

1.6<sup>1</sup> არაკონკურენტული განაცხადებისათვის დაჯავშნილი ლიმიტიდან ათ-ათი პროცენტი გამოიყენება პირველადი დილერი ბანკების და სხვა ინვესტორების არაკონკურენტული განაცხადებისათვის. ემისიის 10%-იანი არაკონკურენტული ლიმიტის სრულად გამოყენებლობის შემთხვევაში დარჩენილი ოდენობა გადადის პირველადი დილერი ბანკების და/ან სხვა არაკონკურენტული განაცხადების დასაკმაყოფილებლად.

1.7. აუქციონის მუშაობას წარმართავს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული აუქციონის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) ხუთი პირის შემადგენლობით. ორი მათგანი ინიშნება ფინანსთა მინისტრის წარდგინებით.

1.8. აუქციონის ჩატარება ეფუძნება მრავალი ფასის მეთოდს.

1.9. აუქციონი ეწყობა ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გრაფიკის შესაბამისად ოთხშაბათობით, დღის 10 საათზე.

1.10. ფინანსთა სამინისტროს შეუძლია განსაზღვროს დამატებითი აუქციონების საჭიროება, რის შესახებაც მან უნდა აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

1.11. ფინანსთა სამინისტრო ძირითადი და დამატებითი აუქციონის მოწყობის თაობაზე, ხუთი დღით ადრე წარუდგენს შეტყობინებას ეროვნულ ბანკს (დანართი N1).

1.12. დასაშვებია სახაზინო ვალდებულებების პირველადი მფლობელის მიერ მისი სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირებისათვის გადაცემა, ამ დებულების 4.4. პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად.

## **2. განაცხადების წარდგენის წესი**

2.1. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ პირველად დილერ ბანკებს, კომერციულ ბანკებს და მათი მეშვეობით – რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ინვესტორების თანხებით აუქციონზე არ დაიშვებიან ის ბანკები, რომელთაც ეროვნული ბანკის მიერ შეზღუდული აქვთ ვალდებულებების გაზრდა, მათ შორის ბანკის კლიენტების მხრიდან სახსრების მოზიდვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ინვესტირების განსახორციელებლად.

2.2. განაცხადებს აუქციონში მონაწილეობის შესახებ ბანკები წარადგენენ დაბეჭდილი კონვერტებით (დანართები N 3-4) და ათავსებენ სპეციალურ ყუთში, რომელიც განთავსებულია ეროვნული ბანკის შენობის პირველ სართულზე ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების (დანართი N 10) შესაბამისად.

ერთ მონაწილეს შეუძლია რამდენიმე განაცხადის წარდგენა.

2.3. სახაზინო ვალდებულებების ყიდვაზე იურიდიული პირების მიერ წარდგენილ კონკურენტულ განაცხადებში სახაზინო ვალდებულებების რაოდენობა არ უნდა იყოს 10 ცალზე ნაკლები.

2.4. პირველად დილერ ბანკებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც კონკურენტული, ისე არაკონკურენტული განაცხადები, ამასთან არაკონკურენტული განაცხადები - არა უმეტეს გამოშვებული ემისიის 10%-ისა. სხვა ინვესტორებს უფლება აქვთ წარადგინონ მხოლოდ ერთი არაკონკურენტული განაცხადი - არა უმეტეს 200 ცალი სახაზინო ვალდებულებების ყიდვის თაობაზე და შეუზღუდავად კონკურენტული განაცხადები.

2.5. აუქციონში მონაწილე ბანკები ვალდებული არიან, აუქციონის დაწყებამდე უზრუნველყონ თანხის დაჯავშნა ეროვნულ ბანკში თავიანთ საკორესპონდენტო ანგარიშებზე განაცხადში მითითებული საანგარიშსწორებო ფასის ოდენობით.

2.6. სახაზინო ვალდებულებების ყიდვის მსურველმა არასაბანკო იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა განაცხადები და მათში მითითებული თანხები უნდა შეიტანონ ბანკებში. ბანკები სახაზინო ვალდებულებების საყიდლად ფაქტიურად მიღებული თანხის გათვალისწინებით, ამ დებულების 2.2., 2.3. და 2.4. პუნქტების შესაბამისად, ეროვნულ ბანკში წარადგენენ განაცხადებს მათ სასარგებლოდ.

2.7. აუქციონზე დაიშვებიან მხოლოდ ის ბანკები, რომლებმაც აუქციონის დაწყებამდე წარადგინეს სწორად შევსებული განაცხადები და უზრუნველყვეს განაცხადით გათვალისწინებული თანხის საკორესპონდენტო ანგარიშზე დაჯავშნა ეროვნულ ბანკში.

2.8. აკრძალულია შემოტანილი განაცხადის შეცვლა ან გატანა.

### **3. აუქციონის კომიტეტის მუშაობის წესი**

3.1. კომიტეტი ფინანსთა სამინისტროს შეტყობინების მიღებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში აქვეყნებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით შეტყობინებას (დანართი N2) აუქციონის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება გამოტანილი სახაზინო ვალდებულებების რაოდენობა, დაფარვის თარიღი და განაცხადების წარდგენის ვადა.

3.2. აუქციონის ჩატარების დღეს, 10 საათზე წყდება განაცხადების მიღება როგორც დაბეჭდილი კონვერტებით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კომიტეტის წევრები ამოწმებენ გამოგზავნილი განაცხადების შევსების სისწორეს, ყველა რეკვიზიტისა და ხელმოწერის არსებობას, განაცხადში მითითებული თანხის შესაბამისობას სახაზინო ვალდებულებების შესაძენად ეროვნულ ბანკში დაჯავშნილ თანხასთან.

3.3. არასწორად შევსებული განაცხადები აუქციონზე არ დაიშვება. საკორესპონდენტო ანგარიშზე დაჯავშნილი თანხის, განაცხადში მითითებულ თანხაზე ნაკლებობისას დასაშვებია მისი მიღება საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული თანხის ფარგლებში.

3.4. აუქციონზე დაშვებული განაცხადების მონაცემები, მისი პროგრამულად დამუშავების მიზნით, შეიტანება კომპიუტერში. კომიტეტის ის წევრები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან აუქციონზე დაშვებული განაცხადების მონაცემების კომპიუტერში მთლიანად შეტანაზე, ამოწმებენ ბანკების მიხედვით განაცხადების და მისი რეკვიზიტების შესაბამისობას კომპიუტერში შეტანილ ინფორმაციასთან.

3.5. ამ დებულების 3.4. მუხლით გათვალისწინებული პროცედურის ჩატარების შემდეგ, განაცხადები დაჯგუფდება განცხადებული საპროცენტო განაკვეთების ზრდის კვალობაზე.

3.6. აუქციონის მუშაობა შეწყდება მაშინ, როდესაც ყველაზე დაბალი განცხადებული საპროცენტო განაკვეთიდან ზრდის გათვალისწინებით დალაგებული კონკურენტული

განაცხადების საერთო თანხა გაუთანაბრდება გასაყიდად გამოტანილი სახაზინო ვალდებულებების საერთო თანხის 80%-ს, კორექტირებულს ამ დებულების 1.5. პუნქტის შესაბამისად.

3.7. იმ შემთხვევაში, თუ აუქციონის შეწყვეტის დონეზე ყველაზე მაღალი ერთი და იგივე შემოსავლიანობის მქონე რამდენიმე კონკურენტული განაცხადის თანხა აღემატება გასაყიდად გამოტანილი სახაზინო ვალდებულებების ოდენობას, ეს განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციული განაწილების პრინციპით, მძიმედან მარცხნივ ათეულის სიზუსტის დამრგვალებით.

3.7.1. აუქციონზე დაკმაყოფილდება მხოლოდ ის განაცხადები, რომელთა საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება აუქციონის განაკვეთის დონეს.

3.8. არაკონკურენტული განაცხადები დაკმაყოფილდება აუქციონზე წარმატებული განაცხადების საშუალო შეწონილი ფასით, რომელიც გამოიანგარიშება ფორმულით:

$$C = \frac{E (C_i * Q_i)}{E (Q_i)}$$

სადაც:

- C - სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი ფასი;
- C<sub>i</sub> - აუქციონზე დაკმაყოფილებული კონკურენტული განაცხადების საანგარიშსწორებო ფასები;
- Q<sub>i</sub> - დაკმაყოფილებული განაცხადებით სახაზინო ვალდებულებების რაოდენობა.

არაკონკურენტული განაცხადებით საერთო თანხის დებულების 1.5. პუნქტის შესაბამის დაჯავშნილ თანხაზე გადაჭარბებისას, ისინი დაკმაყოფილდება პროპორციული განაწილების წესით, მძიმედან მარცხნივ ათეულის სიზუსტის დამრგვალებით.

3.8.1. აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი პროცენტი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{საშ. შეწონილი პროცენტი} = \left( \frac{\text{ნომინალური ღირებულება}}{\text{საშ. შეწონილი ფასი}} - 1 \right) * \frac{365}{\text{დღეები დაფარვამდე}} * 100$$

3.9. აუქციონის კომიტეტს უფლება აქვს გასაყიდად გამოტანილი სახაზინო ვალდებულებების თანხა აუცილებლობის (განპირობებული პროპორციული განაწილების პრინციპით განაცხადების დაკმაყოფილებისას ემისიის და ფაქტიურად განთავსებულ მოცულობას შორის სხვაობით) გათვალისწინებით გაზარდოს ან შეამციროს 100 ლარამდე.

3.9<sup>1</sup> იმ შემთხვევაში, თუ აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი სახაზინო ვალდებულებები სრულად ვერ გაიყიდება, ემისიის დარჩენილ ნაწილს აუქციონის კომიტეტი შესასყიდად შესთავაზებს პირველად დილერ ბანკებს აუქციონზე დაფიქსირებულ საშუალო შეწონილ ფასად.

3.9<sup>2</sup> პირველადმა დილერმა ბანკებმა შეთავაზებიდან 1 საათში უნდა წარმოადგინონ განაცხადები. იმ შემთხვევაში, თუ დილერი ბანკების მიერ სახაზინო ვალდებულებების

მოთხოვნა აღემატება მიწოდებას, განაცხადები დაკმაყოფილდება პროპორციულად, აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი ფასით.

3.10. აუქციონის შედეგები გამოქვეყნდება მისი დამთავრების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 17 საათისა, ეროვნული ბანკის შენობის პირველ სართულზე განთავსებულ სტენდზე და გადაეცემა დასაბეჭდად გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ბანკი+“.

#### **4. სახაზინო ვალდებულებების ყიდვაზე შემდგარი გარიგებების რეგისტრაცია**

4.1. კომიტეტი აწარმოებს ბანკების მონაწილეობით აუქციონზე შემდგარი გარიგებების, აგრეთვე ეროვნული ბანკის მიერ ნაყიდი სახაზინო ვალდებულებების რეგისტრაციას (დანართი N5).

4.2. აუქციონზე შემდგარი გარიგებების რეესტრს ენიჭება 10 ციფრისაგან შემდგარი ნომერი, რომლის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს აუქციონის ნომერს, შემდეგი რვა ციფრი აღნიშნავს ემისიის დაფარვის რიცხვს, თვეს და წელს.

4.3. აუქციონში მონაწილე ბანკები ვალდებული არიან აწარმოონ სუბრეესტრები იმავე პრინციპით ინვესტორების ჭრილში (დანართი N6).

4.4. სახაზინო ვალდებულებების გასხვისებისას, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემისას (დანართი N11), ასევე ინვესტორის სურვილით მომსახურე ბანკის გამოცვლისას ბანკი ვალდებულია მასთან შემოსული შეტყობინების საფუძველზე (დანართი N7, N8) სუბრეესტრში დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო ჩანაწერები და იმავდროულად წარუდგინოს აუქციონის კომიტეტს შეტყობინება რეესტრში ცვლილებების შესატანად (გამორიცხულია სახაზინო ვალდებულებების დაფარვის დღეს სუბრეესტრში და რეესტრში ცვლილებების შეტანა), დაფარვის ვადის დადგომისას ახალი მფლობელისათვის სახაზინო ვალდებულებების ნომინალური ღირებულებით ანაზღაურების მიზნით. ამავე პირობის დაცვით უნდა იქნეს წარდგენილი შეტყობინება კომიტეტისათვის ბანკის კუთვნილი სახაზინო ვალდებულების გასხვისების ან დაგირავებისას, მაშინაც, როდესაც სახაზინო ვალდებულებების გამსხვისებელს და მის ახალ მფლობელს ემსახურება სხვადასხვა ბანკი.

4.5. კომიტეტი ვალდებულია:  
- აუქციონის დამთავრებიდან ერთი დღის განმავლობაში უზრუნველყოს ინფორმაციით ბანკები აუქციონის შედეგების შესახებ და სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე მათი მონაწილეობის თაობაზე ამონაწერით (დანართი N 9); პერიოდულად შეამოწმოს ბანკების მიერ სუბრეესტრების წარმოება, ასევე მათ მიერ კლიენტებისათვის შეძენილი სახაზინო ვალდებულებების ნომინალური ღირებულების საკორესპონდენტო ანგარიშზე ჩარიცხვიდან ერთი საბანკო დღის განმავლობაში კუთვნილებისამებრ, ანგარიშებზე ჩარიცხვა. დარღვევების გამოვლენისას, აუქციონის კომიტეტს შეუძლია დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით:  
ა) არ დაუშვას ბანკი აუქციონზე;  
ბ) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის თანახმად, დასვას საკითხი საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის წინაშე ბანკისათვის სანქციების მიყენების თაობაზე.

#### **5. სახაზინო ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვასთან და დაფარვასთან დაკავშირებული ანგარიშსწორების წესები**

5.1. სახაზინო ვალდებულებების შესყიდვის შესახებ დაკმაყოფილებული განაცხადებით ანგარიშსწორება მთლიანად უნდა დასრულდეს აუქციონის ჩატარების დღეს.

5.2. აუქციონში გამარჯვებული ბანკების მიერ ნაყიდი სახაზინო ვალდებულებების საანგარიშსწორებო ფასის თანხას კომიტეტი იმავე დღეს ურიცხავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს N103 პასიურ საბალანსო ანგარიშზე „ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები“, კარი 16, სიმბოლო 06.

5.3. ბანკები ვალდებული არიან საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დასტურის მიღებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში ჩაურიცხონ თანხები კუთვნილებისამებრ მფლობელებს.

5.4. განთავსებული სახაზინო ვალდებულებების დაფარვის ვადის დადგომისას კომიტეტი რეესტრით გათვალისწინებული სახაზინო ვალდებულებების საანგარიშსწორებო ფასის შესაბამის თანხას ჩამოწერს ფინანსთა სამინისტროს N103 პასიური ანგარიშიდან, ხოლო სახაზინო ვალდებულებების დისკონტის თანხას N102 საბალანსო ანგარიშიდან „ცენტრალური ბიუჯეტის სახსრების განაწილება“ და ჩარიცხავს ინვესტორების პირად ანგარიშებზე. სახაზინო ვალდებულებების დაფარვის კალენდარული დღის გამოსასვლელ დღებზე დამთხვევისას, დაფარვა განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს, დამატებითი პროცენტების დაურიცხავად.

## **6. მხარეთა პასუხისმგებლობა**

6.1. ბანკებს ეკრძალებათ ისეთი გარიგებებისა და მოქმედებების განხორციელება, რომელთა შედეგადაც ისინი დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად დომინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე, აგრეთვე ყოველგვარი სხვა მანიპულაციები, რომლებიც დაუმსახურებელ უპირატესობას მიანიჭებს მათ ან მესამე პირებს და შექმნის კონკურენციის შეზღუდვისა და საპროცენტო განაკვეთების ფიქსაციის საშიშროებას.

6.2. აუქციონის მონაწილეები ვალდებული არიან განუხრელად დაიცვან აუქციონის დებულების მოთხოვნები.

6.3. კომიტეტი უფლებამოსილია გააკონტროლოს აუქციონის მონაწილეების მიერ ამ დებულების პირობების დაცვის მდგომარეობა.

## **7. დებულებაში ცვლილებების შეტანა**

ეს დებულება შეიძლება შეიცვალოს მუშაობის გამოცდილების დაგროვებასთან ერთად. მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება გამოქვეყნდება აუქციონის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე.

## **8. დებულებაში გამოყენებული ტერმინები**

სახაზინო ვალდებულებები - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, სადაც მოვალედ გამოდის სახელმწიფო.

სახაზინო ვალდებულებების აუქციონი - სახაზინო ვალდებულებების გაყიდვა წინასწარ დადგენილ დროსა და დანიშნულ ადგილზე.

აუქციონის მონაწილეები - საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული სერტიფიცირებული კომერციული ბანკები.

ნომინალური ღირებულება - ფასიანი ქაღალდების ღირებულების სიდიდე.

საანგარიშსწორებო ფასი - ფასი, რომელსაც იხდის მყიდველი სახაზინო ვალდებულებების შეძენისას.

საპროცენტო განაკვეთი - სახაზინო ვალდებულებების მყიდველების მიერ განცხადებული შემოსავლიანობის წლიური პროცენტი.

დისკონტის თანხა - სახაზინო ვალდებულებების ნომინალურ ღირებულებასა და საანგარიშსწორებო ფასს შორის სხვაობა.

მრავალი ფასის მეთოდი - მეთოდი, რომლის დროსაც აუქციონში გამარჯვებული მყიდველი დაკმაყოფილება განაცხადში მის მიერ მითითებული პროცენტიდან გამოთვლილი ფასით.

კონკურენტული განაცხადები - განაცხადები, რომლებიც მონაწილეობს კონკურსში.

არაკონკურენტული განაცხადები - განაცხადები, რომლებიც არ მონაწილეობს კონკურსში და მათი დაკმაყოფილება ხდება აუქციონზე წარმატებული კონკურენტული განაცხადების საშუალო შეწონილი ფასით.

გარიგების დღე - აუქციონის ჩატარების დღე.

დაფარვამდე დღეების რაოდენობა - სახაზინო ვალდებულებების შეძენის დღიდან მის დაფარვამდე დღეების რაოდენობა.

სახაზინო ვალდებულებების ნომინალური მფლობელი - სახაზინო ვალდებულებების ბაზრის შუამავალი, რომელსაც მესაკუთრე წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს უფლებას ფასიანი ქაღალდები თავის სახელზე აღრიცხოს რეესტრში.

პირველადი დილერი ბანკი - კომერციული ბანკი, რომელსაც ეროვნული ბანკი მინიჭებს დილერის სტატუსს ფინანსური მდგომარეობის, სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე აქტივობისა და კლიენტებთან მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით.

ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი - ნომერი, რომელსაც ანიჭებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო ვალდებულებების ყოველ გამოშვებას (ემისიას).

აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი პროცენტი - დებულების 3.6 პუნქტის შესაბამისად დადგენილი სახაზინო ვალდებულებების მოცულობის საშუალო შეწონილი პროცენტი.

გადახრის სიდიდე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ციფრი გამოსახული პროცენტულ პუნქტებში.

აუქციონის განკვეთის დონე – აუქციონზე დაფიქსირებულ საშუალო შეწონილ პროცენტს  
დამატებული გადახრის სიდიდე.